ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2836743

ნომერი: AR1438596

თარიღი : 08.09.2016

გაცემის თარიღი : 15.09.2016

გაცნობის თარიღი : 20.10.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ქედის ბოლო" ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სინა სოლთანი პ/ნ 01691009385
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 12 ბლოკი X ბ. 16-57ა

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1438596 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.033.158) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.
პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:
ვინაიდან, მოცემული და მიმდებარე გარემო განვითარებულია საკარმიდამო განაშენიანებით, არსებულ ჩამოყალიბებულ გარემოში სივრცით მოცულობითად განსხვავებული ობიექტის გაჩენა იწვევს არსებული გარემოს რადიკალურ ცვლილებას. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება ერთიანი გადაწყვეტით – განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, რომლის დამუშავებაც უნდა განხორციელდეს მინიმუმ ნახევარი კვარტალის არეალში. განაშენიანების რეგულირების გეგმა დაადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.
ზემოაღნიშნულიდ განსახორციელებლად, საჭირო მინიმალური პირობა არის, რომ საპროექტო ტერიტორია იყოს არანაკლებ 5000 კვ. მეტრი.
განაცხადი შესაბამისი ესკიზური ვარიანტით უნდა ატვირთოთ www.tas.ge-ზე > ელექტრონულ განაცხადებში > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება–ზე, რომელსაც განიხილავს "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო".
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის დამოუკიდებლად სამშენებლოდ განვითარება თქვენს მიერ მოთხოვნილი ფუნქციური დანიშნულებით ქალქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.